

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.05.2023

### ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი საქართველოში 2023 წლის აპრილი

ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 0.5 პროცენტით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 0.3 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი 2.0 პროცენტით გაიზარდა. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე ფასები 4.9 პროცენტით გაიზარდა, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 3.5 პროცენტით, ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და კონდიციონირებული ჰაერის ჯგუფზე დაფიქსირდა ფასების 6.5 პროცენტიანი კლება, ხოლო წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე ფასები არ შეცვლილა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წლის აპრილში ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:


კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2022 წლის აპრილთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	<b>სულ</b>	<b>102.0</b>	<b>2.05</b>
B	სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	104.9	0.10
C	დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია	103.5	2.89
10	კვების პროდუქტები	103.2	1.29
D	ელექტროენერჯია, აირი, ორთქლი და კონდიციონირებული ჰაერი	93.5	-0.93
E	წყალმომარაგება; კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით	100.0	0.00

\*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

## საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.05.2023

### ადგილობრივი ბაზრისთვის წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა ფასების ინდექსი (წინა წლის შესაბამისი თვე =100)



#### საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: [gtetrauli@geostat.ge](mailto:gtetrauli@geostat.ge)

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: [mkavelashvili@geostat.ge](mailto:mkavelashvili@geostat.ge)